



პიერ ბული

ხიდი მდინარე კვაიზე

დიდგენის
ბიბლიოთეკა

პიერ ბული
სიღი მდინარე კვაიზა

Pierre Boule
LE PONT DE LA RIVIÈRE KWAÏ

ფრანგულიდან თარგმნა ზაზა შენგელიამ

Cet ouvrage a bénéficié du soutien des Programmes d'aide à la publication de l'Insitut Français.

წიგნი გამოიცა ფრანგული ინსტიტუტის საგამომცემლო დახმარების პროგრამის ფარგლებში.

© Éditions Julliard, Paris, 1952
All rights reserved.

© გამომცემლობა „დიოგენე“, 2016
ყველა უფლება დაცულია.

ISBN 978-9941-11-497-7

www.diogene.ge

No, it was not funny; it was rather pathetic; he was so representative of all the past victims of the Great Joke. But it is by folly alone that the world moves, and so it is a respectable thing upon the whole. And besides, he was what one would call a good man.

Joseph Conrad

არა, ამას სასაცილოს ვერ დაარქმევდი, უფრო გულისამაჩუყებელი ეთქმოდა. იგი „დიდი ოხუნჯობის“ უწინდელ მსხვერპლთა განსახიერება იყო. მაგრამ სამყაროს უგუნურება ამოძრავებს, ასე რომ, სიბრყვე, საზოგადოდ, პატივისცემი რამეა. გარდა ამისა, ის პატიოსანი კაცი გახლდათ.

ჯოზეფ კონრადი

პირველი ნაწილი

1

„უძირო უფსკრული, რომელიც აღმოსავლელებსა და დასავლელებს აშორებს, შეიძლება სულაც მოჩვენებითია. თუმცა არ არის გამორიცხული, რომ ყველასთვის გასაგები ეს ბანალური ჭეშმარიტება უსაფუძვლო იყოს. იქნებ „სახის შენარჩუნება“ ამ ომში ისევე სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ბრიტანელებისთვის, როგორც იაპონელებისთვის? იქნებ სწორედ ამით აიხსნება მათი გაუაზრებელი ქმედებები? შეიძლება აღმოსავლელებისა და დასავლელების მამოძრავებელ ძალებს საერთო საფუძველი ჰქონდეს და მათ შორის დაპირისპირება მხოლოდ გარეგნული იყოს? განა შეუძლებელია, პოლკოვნიკ საიტოს და მის ტყვეს, პოლკოვნიკ ნიკოლსონს, ერთი ძალა ამოძრავებდეს?“ – მსგავსი კითხვებით იქცევდა თავს სამხედრო ექიმი, მაიორი კლიპტონი, რომელიც, სხვა ხუთასი უიღბლო ბრიტანელი ჯარისკაცივით, მდინარე კვაის ტყვეთა ბანაკში იყო გამომწყვდეული. რამდენიმე ჯგუფად დაყოფილ სამოცი ათას ინგლისელ, ავსტრალიელ, ჰოლანდიელ და ამერიკელ ტყვეს ტაილანდისა და ბირმის გაუვალი ჯუნგლები უნდა გაეკაფა, რათა რკინიგ-

ზას ბენგალის ყურე სინგაპურსა და ბანგკოკთან დაეკავშირებინა. კლიპტონი ხვდებოდა, რომ ამ კითხვებზე პასუხების გასაცემად ტყვეთა ბანაკის პარადოქსებით სავსე გარემოს ზედაპირული გაანალიზება საკმარისი არ იქნებოდა. თავისი ვარაუდის დასამტკიცებლად უნდა დაევიწყებინა მუჯღუგუნები, მოქნეული კონდახები და იაპონელთა უხასიათობის უფრო უხეში გამოვლინებები. მსჯელობაში არც ნიკოლსონის ხაზგასმული ქედმაღლობა ეხმარებოდა, რითაც პოლკოვნიკი ბრიტანეთის უპირატესობას აჩვენებდა. მეთაურის ქცევით გაცოფებულს, დასამშვიდებლად სხვა გზა არ დარჩენოდა, პასუხების ჯიუტად ძიების გარდა.

კლიპტონის დასკვნა უცვლელი იყო: პოლკოვნიკ ნიკოლსონის დამახასიათებელი თვისებების ერთობლიობას (პასუხისმგებლობის გრძნობა, დისციპლინის სიყვარული, მიზანდასახულობა და ტრადიციების პატივისცემა) საუკეთესოდ გადმოსცემდა სიტყვა „სნობიზმი“. მისი დაკვირვება ყოველთვის ერთ შედეგს უჩვენებდა: პოლკოვნიკი ნიკოლსონი, ქვის ხანიდან დანყებული უწყვეტი სინთეზის მომნიჭებული ნაყოფი, ტრადიციებით დაცული და შემონახული, სნობი სამხედრო პირის განსახიერება იყო.

კლიპტონი სამართლიანი კაცი გახლდათ და საკვლევი საგნის სხვადასხვა რაკურსით შეფასება სჩვეოდა. ნიკოლსონის ქცევით გაცოფებულს (რაც არცთუ ისე იშვიათად ემართებოდა), დაკვირვების შედეგები ამშვიდებდა, პოლკოვნიკისადმი თანაგრძნობისა და პატივისცემის გრძნობასაც კი აღუძრავდა ხოლმე.

ის, რომ პოლკოვნიკი ნიკოლსონი დისციპლინას უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა, აზიისა და აფრიკის სხვადასხვა კუთხეში კარგად იცოდნენ. პოლკოვნიკმა ბოლოს, 1942 წელს, მაღალიზიის ოკუპაციის დროს, სინგაპურში გააოცა თანამებრძოლები. მთავარსარდლობის ბრძანების მიღების შემდეგ, რომელიც იარაღის დაუყოვნებლივ დაყრას გულისხმობდა, ახალგაზრდა ოფიცერთა ჯგუფმა გადაწყვიტა, ზღვამდე მიეღწია, ხელთ ეგდო რაიმე მცურავი საშუა-

ლება და ჰოლანდიის ოსტინდოეთისკენ აელო გეზი. პოლკოვნიკმა ნიკოლსონმა ოფიცრებს სიმამაცე და გამბედაობა შეუქო, თუმცა მათ განზრახვას კატეგორიულად არ დაეთანხმა: ოფიცრების გეგმა მიღებულ ბრძანებას ეწინააღმდეგებოდა და პოლკოვნიკი მისი განხორციელების საშუალებას არ მისცემდა. ნიკოლსონი შეეცადა აეხსნა ოფიცრებისთვის, რომ მიღებული ბრძანების პირობებში, კაპიტულაციაზე ხელის მოწერის შემდეგ, დანებებას მისი უდიდებულესობის ვერც ერთი ქვეშევრდომი ვერ აიცილებდა თავიდან და მისთვის ერთადერთი მისაღები გზა იაპონელთა ლოინი იყო, რათა მათთვის იარაღი გადაეცა.

– რა მაგალითს მივცემთ ჩვენს ჯარისკაცებს, თუ ბრძანებას არ შევასრულებთ?! – საყვედურობდა მათ ნიკოლსონი.

ამ სიტყვების წარმოთქმისას ის გამჭოლი მზერა ჰქონდა, გადამწყვეტ ნუთებში რომ მოიშველიებდა ხოლმე. მისი თვალები ინდოეთის ოკეანის ფერისა იყო, მუდამ მშვიდი სახე კი მის განონასწორებულობაზე მიუთითებდა. სხვა უდრეკი გამირების მსგავსად, ქერა უღვაში ამშვენებდა, მონითალო ელფერიით. მუდამ ვარდისფერი სახე მძლავრ და მწყობრ გულისცემაზე, შინაგან სიმშვიდეზე მეტყველებდა. კლიპტონი, რომელიც პოლკოვნიკ ნიკოლსონს მთელი სამხედრო კამპანიის განმავლობაში გვერდიდან არ მოსცილებია, გაკვირვებას ვერ მალავდა ბრიტანეთის კოლონიური ჯარების ოფიცრის ასეთი სრულყოფილი ტიპის აღმოჩენით, რომელიც მას ყოველთვის ლეგენდის ნაწილად მიაჩნდა. თუმცა კი ეს ოფიცერი თავის ნამდვილობას ისე დაუმტკიცებდა ხოლმე, რომ კლიპტონს გული ეწურებოდა ხან გალიზიანების, ხან კი ნაზი გრძნობების მოზღვავეებისგან.

კლიპტონი ახალგაზრდა ოფიცრების განზრახვას ემხრობოდა, რაც განუცხადა კიდევ პოლკოვნიკს. ნიკოლსონმა მას სასტიკად უსაყვედურა და ვერ დამალა გაკვირვება იმ დაღვინებული ოფიცრის მოსაზრებით, რომლისთვისაც პასუხისმგებლობის გრძნობას უტვინო ახალგაზრდების უაზრო გეგმის მოწონების საშუალება არ უნდა მიეცა.

შემდეგ პოლკოვნიკმა ნიკოლსონმა მკაცრი ბრძანებები გასცა: ოფიცრები და ჯარისკაცები ადგილზე უნდა დალოდებოდნენ იაპონელთა გამოჩენას, დანებების სიმწარე დიდად არ უნდა განეცადათ – ეს პირადად არავის ეხებოდა, და ერთადერთი, ვისაც ამაზე პასუხისმგებლობა ეკისრებოდა, თავად პოლკოვნიკი გახლდათ.

უმრავლესობა პოლკოვნიკის ბრძანებას დაემორჩილა, რადგან მას დარწმუნების უნარი და დიდი ავტორიტეტი ჰქონდა. პირადი სიმამაცე კი, რომლითაც ის გამოირჩეოდა, გამორიცხავდა მსგავსი ბრძანებების გაცემის სხვა მიზეზს, გარდა ვალის მოხდის სურვილისა.

თუმცა რამდენიმე ოფიცერი მას არ დაემორჩილა – ჯუნგლებისკენ აიღო გეზი. სინანულით აღსავსე პოლკოვნიკმა ისინი დეზერტირებად გამოაცხადა და დანარჩენებთან ერთად იაპონელების ლოდინს შეუდგა. კაპიტულაციის მოლოდინში, ნიკოლსონმა დანებების ღირსეული ფორმაც მოიფიქრა. გადაწყვიტა, იაპონელი ოფიცრისთვის პირადი იარაღის გადაცემით მიეცა მაგალითი სხვებისთვის. ამ სიმბოლური ჟესტის რამდენჯერმე გამეორების შემდეგ დარწმუნდა, რომ რევოლვერს ქამრიდან შეუფერხებლად იხსნიდა.

პოლკოვნიკმა თავისი მუნდირებიდან საუკეთესო მოირგო და ჯარისკაცებს უბრძანა მონყობილიყვნენ. მწყობრის სისწორეც პირადად შეამოწმა.

ჯერ რიგითები გამოჩნდნენ, რომლებთან საუბარსაც აზრი არ ჰქონდა – ცივილიზებული სამყაროს არც ერთ ენაზე არ საუბრობდნენ. პოლკოვნიკი ნიკოლსონი არ განძრეულა. ჯარისკაცებს სატვირთო მანქანა მოჰყვა, რომლიდან გადმოსულმა სერჟანტმაც ინგლისელებს მანქანის ძარაზე იარაღის დანყობისკენ მოუწოდა. პოლკოვნიკმა მწყობრის დატოვება აკრძალა. ის ოფიცერს ითხოვდა, რომელიც არსად ჩანდა, იაპონელებს კი მისი მოთხოვნების ვერაფერი გაეგოთ. მათი გაბრაზება სულ უფრო შესამჩნევი და საშიში ხდებოდა. იაპონელი სერჟანტი გაურკვეველ ბრძანე-

ბებს ღრიალებდა ბრიტანელთა მისამართით. სიტუაცია იძაბებოდა. პოლკოვნიკმა თავის ჯარისკაცებს ადგილზე დარჩენა უბრძანა. იაპონელებს იარაღი უკვე ბრიტანელებისთვის დაემიზნებინათ, პოლკოვნიკს რამდენჯერმე ხელიც ჰკრეს. ნიკოლსონი არ შედრკა – მოთხოვნა გაიმეორა. ინგლისელები ერთმანეთს და პოლკოვნიკ ნიკოლსონს ერთნაირი დაბნეულობით უყურებდნენ, კლიპტონს კი ვერ გაერკვია, მზად იყო თუ არა პოლკოვნიკი, პრინციპებისა და ფორმალობების დაცვის სიყვარულისთვის შეენირა ის და მისი თანამებრძოლები. ამ დროს იაპონელი ოფიცრებით სავსე მანქანა გამოჩნდა. ერთ-ერთი მათგანი მაიორის სამხრეებს ატარებდა. რადგან უფრო მაღალი წოდებისა არავინ ჩანდა, პოლკოვნიკმა ნიკოლსონმა გადანყვიტა, მას დანებებოდა და ინგლისელ ჯარისკაცებს სწორება უბრძანა. სამხედრო წესით მისალმების შემდეგ ქამრიდან რევოლვერი მოიხსნა და შეეცადა, რაც შეიძლება ღირსეულად გაეწოდებინა ის იაპონელი ოფიცრისთვის.

ამ უეცარი საჩუქრით დაბნეულმა მაიორმა ჯერ უკან დაიხია, მერე კი, მოულოდნელად, ხარხარი აუტყდა. დანარჩენებიც მყისვე აჰყვნენ. პოლკოვნიკმა მხრები აიჩეჩა, ამაყად გაიმართა წელში და ინგლისელებს სატვირთო მანქანის ძარაზე იარაღის დალაგება უბრძანა.

სინგაპურის ტყვეთა ბანაკმა ვერაფერი შეცვალა: პოლკოვნიკის გადანყვიტილება, მტკიცედ შეენარჩუნებინა ბრიტანული შემართება გამარჯვებული იაპონელების უწესრიგო და უსარგებლო მოქმედებების მიუხედავად, ურყევი იყო. კლიპტონს ვერ გადაეწყვიტა, პოლკოვნიკი ამისთვის რას იმსახურებდა. ნიკოლსონი ცდილობდა, იაპონელთა მითითებები თავისი ბრძანებებით კიდევ უფრო განემტკიცებინა. ამის შედეგად, მისი ჯარისკაცები უკეთესად იქცეოდნენ და უარესად იკვებებოდნენ. სინგაპურის შემოგარენი, ძლიერი დაბომბვების შედეგად, უკაცრიელი იყო. ბანაკის მცველებთან დაუნერელი შეთანხმებით, იქ ჯარისკაცებს მწირი ულუფის გამრავალფეროვნების საშუალება ეძლეოდათ. რა თქმა უნდა, პოლკოვნიკ ნიკოლსონის ჯარისკაცებს ეს არ ეხებოდა. მან

საჯაროდ დაგმო მსგავსი საქციელი და ოფიცრების საშუალებით მოუწოდა ბრიტანელებს, უმნიშვნელო ქცევით მაგალითი მიეცათ გამარჯვებულთათვის. პოლკოვნიკი თავისი ბრძანების შესრულებას ბარაკების ხშირი ჩხრეკითაც ამონებდა.

უცხო ქვეყანაში ბრიტანელი ჯარისკაცის უმნიშვნელო ქცევა მისი ერთადერთი საზრუნავი როდი იყო. რაიმე მნიშვნელოვანი სამუშაო, რომლითაც ტყვეებს დაასაქმებდნენ, იაპონელებს ჯერ არ წამოეწყობოთ. პოლკოვნიკს მისი ჯარისკაცების ამდენი თავისუფალი დრო აღეღებოდა. თვლიდა, რომ უსაქმოდ მყოფი ჯარისკაცი კარგავდა მხედრულ შემართებას და სამხედრო პირისთვის აუცილებელ სხვა ღირსებებს. ჯარისკაცების მორალურ დაცემას მშვიდად ვერ შეხედავდა და გადანწყობა, მათი თავისუფალი დრო სხვადასხვა საქმიანობით შეევსო. ოფიცრები აიძულა, ჯარისკაცებისთვის სამხედრო წესდების თავები საჯაროდ ეკითხათ და საჭიროების შემთხვევაში ახსნა-განმარტებებიც მოეყოლებინათ. გამოკითხვის შემდეგ წარმატებულებს მის მიერვე ხელმოწერილი საბუთით აჯილდოებდა. რა თქმა უნდა, სწავლების ერთ-ერთი მთავარი მიზანი დისციპლინის განმტკიცება იყო. მიუხედავად ტყვეთა ბანაკში ყოფნისა, ბრიტანელ ჯარისკაცებს ევალეობოდათ, მათზე მაღალი წოდების მქონე ნებისმიერი სამხედროსათვის მხედრული სალამი მიეცათ. ყველაზე რთულად საქმე რიგითებს ჰქონდათ. მათ ევალეობოდათ, ყველა იაპონელს მხედრული წესით მისალმებოდნენ, მიუხედავად წოდებისა; ამას მათ მსგავსად ტყვეობაში მყოფი სხვა ბრიტანელი ოფიცრებიც ემატებოდნენ. საფრთხე ყოველ ფეხის ნაბიჯზე ემუქრებოდათ – ყარაულთა პანდური და კონდახი, პოლკოვნიკის მკაცრი საყვედური და ზოგჯერ სასჯელიც კი – ჯარისკაცს რამდენიმე საათის გატარება ფეხზე მდგომს უწევდა, როცა სხვები ისვენებდნენ.

პოლკოვნიკს რეალური ძალაუფლება აღარ ჰქონდა და ისევე უწევდა ყოველდღიური დამცირებისა და ძალადობის ატანა, როგორც ნებისმიერ ტყვეს ამ ბანაკში. მიუხედავად ამისა, მის მიერ დანესებულ სპარტანულ დისციპლინას ჯარისკაცები უხმოდ

ემორჩილებოდნენ. ამით აღფრთოვანებულ კლიპტონს ვერ გაეგო, ამას პოლკოვნიკის პიროვნული პატივისცემა განაპირობებდა თუ სარგებელი, რომელსაც ჯარისკაცები მისი წყალობით იღებდნენ. ერთის თქმა ნამდვილად შეიძლებოდა: თავისი სიჯიუტისა და პრინციპულობის წყალობით, პოლკოვნიკი ნიკოლსონი ხშირად იაპონელებთანაც კი აღწევდა სასურველ შედეგს. ამაში „სამხედრო მოქმედებების კანონთა კრებულიც“ (რომელიც ჟენევისა და ჰააგის კონვენციებს მოიცავდა) ეხმარებოდა – იაპონელებს ცხვირწინ გადაუშლიდა ხოლმე და მშვიდად უთითებდა საერთაშორისო კონვენციასა და მუხლზე, რომელსაც ისინი არღვევდნენ. უდავო იყო ისიც, რომ პოლკოვნიკის ფიზიკური გამძლეობა და ძალადობის მშვიდად ატანის უნარი ჯარისკაცებს მისადმი პატივისცემას უმყარებდა. ნიკოლსონი უბრალო პროტესტის გამოხატვით არ კმაყოფილდებოდა და პირადი ჩარევით ცდილობდა უკანონობის აღკვეთას. ერთხელ, უსამართლო ბრძანების შეუსრულებლობის გამო, სასტიკად გაუსწორდნენ. მიუხედავად ამისა, მან მიაღწია უკანონო ბრძანების გაუქმებას და მოძალადე ჯარისკაცის დასჯას. აშკარა იყო, რომ ბანაკში ორი წესდება მოქმედებდა და პოლკოვნიკისა უფრო უღმობელი იყო, ვიდრე იაპონელებისა.

– მთავარია, არ დაავიწყდეთ, ვინ არის მათი მეთაური, – პასუხობდა კლიპტონს, როცა ის ასეთ გარემოებებში ჯარისკაცებთან უფრო ღმობიერი მოპყრობის აუცილებლობაზე ესაუბრებოდა, – ჩვენ ვართ მათი მეთაურები და არა – ეს მაიმუნები. სანამ ეს ეხსომებათ, ჯარისკაცებად დარჩებიან, თუ არადა, მონებად იქცევიან.

მიუკერძოებელი კლიპტონი იძულებული იყო ეღიარებინა, რომ პოლკოვნიკის ქცევა ლოგიკური იყო და მას მართლაც საუკეთესო განზრახვები ამოძრავებდა.

სინგაპურის ბანაკი ლამაზ მოგონებად გადაიქცა, იქ გატარებულ დროს ტყვეები უკვე სინანულით იხსენებდნენ. ტაილანდის ამ არას-ტუმართმოყვარე კუთხეში მოხვედრამდე ჯერ მაღალიზია გადაკვეთეს მატარებლით, მერე კი ფეხით იარეს. დაუნდობელი ჰავისა და საკვების ნაკლებობისგან ქანცგანწყვეტილები თანდათან შეეღიინ – დაბრუნების ყოველგვარი იმედის გარეშე – ყველაზე მძიმე და ყველაზე ღირებულ ნივთებს საკუთარი მწირი აღჭურვილობიდან. ხმები, რომ თითქოს რკინიგზის მშენებლობაზე უნდა ემუშავათ, ნამდვილად არ აძლევდათ ოპტიმიზმის საფუძველს.

პოლკოვნიკ ნიკოლსონის შენაერთმა ერთ-ერთმა უკანასკნელმა დატოვა სინგაპურის ტყვეთა ბანაკი. როცა ტაილანდამდე მიაღწიეს, მშენებლობა უკვე დაწყებული იყო. ახალ ხელმძღვანელობასთან ურთიერთობის პირველი მცდელობა იმედისმომცემი ვერ გამოდგა. სინგაპურში ბრიტანელებს საქმე ომგამოვლილ იაპონელ ჯარისკაცებთან ჰქონდათ. ბრიტანელებზე გამარჯვებით გამონ-ვეული ეიფორიის გავლის შემდეგ ისინი დაახლოებით ისე იქცეოდნენ, როგორც ნებისმიერი ევროპელი ჯარისკაცი მოიქცეოდა. აშკარა იყო, რომ რკინიგზის მშენებლობის ზედამხედველი იაპონელი ოფიცრები სხვა თვალთ უყურებდნენ ტყვეებთან ურთიერთობას. უფრო კატორღელთა ბადრავს ჰგავდნენ – დაუნდობლობით გამოირჩეოდნენ, ეტყობოდათ, რომ მზად იყვნენ, პირველივე შესაძ-ლებლობა გამოეყენებინათ სისასტიკის გამოსაჩენად.

პოლკოვნიკი და მისი ჯარისკაცები უზარმაზარ გამანაწილებელ ბანაკში მოხვდნენ. იქ დიდხანს არ დარჩენილან, თუმცა ეს მოკლე დროც საკმარისი გამოდგა იმისთვის, რომ მიმხვდარიყვნენ, თუ რა პირობებში მოუნევდათ ცხოვრება მშენებლობის დასრუ-ლებამდე. ტყვეებს პირუტყვივით ეპყრობოდნენ და ამუშავებდნენ. კარგი კვებისა და დამაკმაყოფილებელი საცხოვრებელი პირობე-ბის შემთხვევაში არ გაუჭირდებოდათ სამუშაოს შესრულება, ახლა

კი, ორთვიანი შიმშილით გამოფიტულებს, გაუთავებელი შეურაცხყოფითა და მუჯღუგუნებით დათრგუნულებს, მზის ამოსვლიდან დაბნელებამდე უწევდათ მშენებლობაზე ყოფნა, რათა საქმე წინ წასულიყო. კლიპტონს ტყვეების მდგომარეობა ადარდებდა. მალარიას, ბერი-ბერის, დიზენტერიას, ფურუნკულოზს მთელი ბანაკი მოეცვა. მკურნალობის პირობების არქონის გამო, ეპიდემიის გაჩენის საფრთხე ყოველდღე მატულობდა. კლიპტონს ბანაკის ექიმმა არცთუ უსაფუძვლო შიშები გაუზიარა – უფრო სერიოზული ეპიდემიებიც შეიძლება გაჩენილიყო, რომლებისგანაც თავს ვერაფრით დაიზღვევდნენ. ნამლების გარეშე ის ვერაფერს მოიმოქმედებდა.

პოლკოვნიკი მოიღუშა, თუმცა არაფერი უთქვამს. ბანაკის მდგომარეობაზე პასუხისმგებლობას არ იღებდა – თავს „სტუმრად“ თვლიდა. თუმცა ერთხელ მაინც მისცა შენიშვნა ინგლისელ ვიცე-პოლკოვნიკს, რომელიც ბანაკში არსებული მდგომარეობის გამო იაპონელი ოფიცრის წინაშე აგებდა პასუხს. პოლკოვნიკმა ნიკოლსონმა შენიშნა, რომ დაბალი რანგის ყველა ოფიცერი, მაიორის წოდებამდე, რიგითი ჯარისკაცების მსგავსად, შავ სამუშაოს ასრულებდა – მიწას თხრიდა და ურიკით გაჰქონდა. ვიცე-პოლკოვნიკმა თვალეზი დახარა. შეეცადა აეხსნა, რომ ყველაფერი გააკეთა, რათა ეს დამამცირებელი მდგომარეობა თავიდან აეცილებინა, თუმცა სასტიკი სასჯელის შიშით, იძულებული იყო დაჰყოლოდა იაპონელთა ნებას. პოლკოვნიკისთვის ეს ახსნა-განმარტება საკმარისი არ იყო – თავი გააქნია და აღარაფერი უთქვამს.

გამანაწილებელ ბანაკში პოლკოვნიკმა და მისმა ჯარისკაცებმა ორი დღე გაატარეს. მომავალი მგზავრობისთვის მწირი საგზალი და უხეში ნაჭრისგან გამოჭრილი სამკუთხედები მიიღეს, წელზე რომ უნდა შემოეხვიათ და ბანრით შეეკრათ – ამას იაპონელები, რატომღაც, „სამუშაო უნიფორმას“ ეძახდნენ. ასევე მოუსმი-

ნეს საზეიმოდ გამონყობილი გენერალ იამაშიტას მიმართვას. ის დამტკრეული ინგლისურით ცდილობდა აეხსნა ტყვეებისთვის, რომ ამიერიდან ყოველი მათგანი მისი და, შესაბამისად, საიმპერატორო უდიდებულესობის დაქვემდებარებაში იყო. ორი სიტყვა იმაზეც თქვა, თუ რას ელოდნენ მისი უდიდებულესობა და თვითონ გენერალი მათგან.

ორსაათიანი სიტყვა ისეთივე ძნელად ასატანი აღმოჩნდა, როგორც ბადრაგის ლანძღვა და ცემა. გენერალმა განუცხადა ტყვეებს, რომ იაპონელებს მათი საწინააღმდეგო არაფერი ჰქონდათ, რადგანაც ისინი საკუთარმა მთავრობამ მოატყუა. თუ ტყვეები „ზენტლმენებივით“ მოიქცეოდნენ, შეეძლოთ ადამიანური მოპყრობის იმედი ჰქონოდათ. საჭირო იყო, უსიტყვოდ დამორჩილებოდნენ იაპონელებს და თავდაუზოგავად ეშრომათ მისი საიმპერატორო უდიდებულესობის კეთილდღეობისათვის. ინგლისელები იმპერატორის მადლიერები უნდა ყოფილიყვნენ – ის ხომ რკინიგზის მშენებლობაში მონაწილეობით შეცდომის გამოსწორების საშუალებას აძლევდა. გენერალმა იამაშიტამ ასევე აღნიშნა, რომ მკაცრი დისციპლინის მომხრე იყო და ვერ დაუშვებდა უმცირეს დაუმორჩილებლობასაც კი. სიზარმაცე და დაუდევრობა დანაშაულად ითვლებოდა, გაქცევის მცდელობა კი სიკვდილით ისჯებოდა. ბრიტანელი ოფიცრები პასუხს აგებდნენ მათი ჯარისკაცების ქცევასა და გარჯაზე.

– ავადმყოფობა საპატიო მიზეზად არ ჩათვლება, – დაამატა გენერალმა იამაშიტამ. – შრომა ფიზიკური ფორმის შენარჩუნების საუკეთესო საშუალებაა. დიზენტერია ვერაფერს აკლებს მათ, ვინც ყოველდღიური შრომით იმპერატორს ემსახურებიან.

გენერალმა გამოსვლა ოპტიმისტურად დაასრულა, რამაც საბოლოოდ გააცოფა ინგლისელები:

– იშრომეთ ხალისითა და შემართებით! ასეთია ჩემი დევიზი, ამიერიდან კი – თქვენიც. ვინც ასე მოიქცევა, არაფერი ემუქრება არც ჩემგან და არც დიადი იაპონური არმიის ოფიცრებისაგან, რომელთა დაქვემდებარებაშიც იმყოფებით.

გენერლის სიტყვის დასრულების შემდეგ სამხედრო დანაყოფები მათთვის გამოყოფილი სამშენებლო მონაკვეთებისკენ გაემართნენ. პოლკოვნიკი ნიკოლსონი და მისი დანაყოფი ყველაზე შორ, ბირმის საზღვართან რამდენიმე მილში მდებარე, მდინარე კვაის ბანაკში გაანაწილეს. ბანაკს პოლკოვნიკი საიტო ხელმძღვანელობდა.

3

მდინარე კვაის ბანაკის მტრული და დაძაბული ატმოსფერო კიდევ უფრო დამძიმდა იმ ინციდენტებით, რომლებიც პოლკოვნიკისა და მისი ჯარისკაცების ჩამოსვლისთანავე მოხდა.

პირველი კონფლიქტი პოლკოვნიკ საიტოს განზრახვამ გამოიწვია – მისი ბრძანების თანახმად, ოფიცრებს ჯარისკაცების მხარდამხარ უნდა ეშრომათ. ბრძანებას პოლკოვნიკი ნიკოლსონი გამოეხმაურა. მისი პასუხი ზრდილობიანი და კატეგორიული იყო: ბრიტანელ ოფიცრებს ჯარისკაცების მეთაურობა ევალებოდათ, რაც ნიჩბისა და წერაქვის ქნევას სულაც არ გულისხმობდა.

ნიკოლსონს კარგად ენიშნა ბანაკის ხელმძღვანელის რეაქცია მის პროტესტზე. საიტომ მოთმინებით მოუსმინა, სიტყვა არ გაანყვევინა, ბოლოს კი უთხრა, პასუხის მოსაფიქრებლად დრო დამჭირდებაო. მომავლის რწმენით აღსავსე პოლკოვნიკი ზამბუკის ქოხში დაბრუნდა, რომელშიც კლიპტონთან და ორ სხვა ოფიცერთან ერთად ცხოვრობდა. დაბრუნებისთანავე სიამოვნებით გაუზიარა მათ ის არგუმენტები, რომლებითაც საიტოს უკან დაახევინა. მისი აზრით, ყოველი მათგანი შეუვალა იყო, თუმცა ბოლო – განსაკუთრებით: რამდენიმე გამოუცდელი მუშის ფიზიკური შრომა ვერაფერს შემატებდა მშენებლობას, გამოცდილი მეთაურები კი გაცილებით დიდ სარგებელს მოუტანდნენ საერთო საქმეს. პოლ-

კოვნიკის თქმით, ცხადი იყო, რომ იაპონელებისთვისვე სჯობდა ბრიტანელი ოფიცრებისთვის ძალაუფლებისა და ღირსების შენარჩუნება, რასაც მათი ფიზიკური შრომა გამოორიცხავდა.

– ბოლოს და ბოლოს, მითხარით, მართალი ვარ თუ არა? – გაცხარებული ეკითხებოდა მაიორ ჰიუზს. – თქვენ, როგორც გამოცდილმა მეწარმემ, უნდა იცოდეთ, რომ ამხელა მშენებლობის დაწყება პასუხისმგებელი პირების იერარქიის გარეშე წარმოუდგენელია.

სინგაპურის წარუმატებელი კამპანიისას განცდილი დანაკარგის შემდეგ პოლკოვნიკის შტაბს, ექიმი კლიპტონის გარდა, მხოლოდ ორი უფროსი ოფიცერი შემორჩა. ნიკოლსონი მათ გვერდიდან არ იშორებდა. აფასებდა მათ რჩევებს და არასდროს ერიდებოდა თავისი აზრის საჯარო სამსჯავროზე გამოტანას საბოლოო გადწყვეტილების მიღებამდე. ამ ორი თადარიგის ოფიცრიდან ერთი – მაიორი ჰიუზი ომის დაწყებამდე მალაიზიაში სამთო-მომპოვებელ კომპანიას ხელმძღვანელობდა. პოლკში მოხვედრილი ჰიუზი მალევე შეამჩნია პოლკოვნიკმა და მის ორგანიზატორულ თვისებებს დიდად აფასებდა. მეორე, კაპიტანი რივზი, ინდოეთში კავშირგაბმულობის ობიექტების მშენებლობაზე მუშაობდა – ინჟინერი იყო. სამხედრო-საინჟინრო უზრუნველყოფის სამსახურში განვეულმა, საომარი მოქმედებების დაწყებისთანავე დაკარგა კავშირი თავის ბატალიონთან. პოლკოვნიკმა ნიკოლსონმა, რომელსაც პროფესიონალების გარემოცვაში ყოფნა უყვარდა, რივზი ჯერ ნანილში შეიფარა, ხოლო შემდეგ პოლკის შტაბში მიუჩინა მრჩევლის ადგილი. ნიკოლსონი აღიარებდა, რომ ზოგიერთ სანარმოში ისეთ მეთოდებს იყენებდნენ, რომელთა ათვისება და ნაყოფიერად გამოყენება სამხედროებსაც შეეძლოთ და ხელიდან არ უშვებდა შესაძლებლობას, მეტი გაეგო ამის შესახებ.

– გეთანხმებით, სერ, – უპასუხა ჰიუზმა.

– მეც, სერ, – გააგრძელა რივზმა. – რკინიგზის გაყვანა და ხიდის მშენებლობა (მგონი, ის მდინარე კვაიზე უნდა გაიდოს) ნაჩქარევ გადწყვეტილებებსა და იმპროვიზაციას გამოორიცხავს, სერ.